შპს „ქინძმარაულის მარანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-34

შპს „იუაი“
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს „იუაი“
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქინძმარაული მარანის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ქინძმარაული მარანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ანგარიშის თავში *„პირობითი მოსაზრების საფუძველი“* მოცემული საკითხის ეფექტს თუ არ ჩავთვლით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა საწყისი აღიარების შემდგომი შეფასების ნაწილში მისი ძირითადი საშუალებების ყველა კატეგორიაში თვითღირებულების მოდელია. თუმცა, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, კომპანიამ სამართლიანი ღირებულებით გადააფასა ძირითადი საშუალებების კონკრეტული ერთეულები და შედეგად მიღებული გადაფასების შემოსულობა სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხა. შემდგომი გადაანგარიშება არ ჩატარებულა. შესაბამისად, კომპანიამ გვერდი აუარა სტანდარტის ბასს (IAS) 8 (*„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“*) მოთხოვნებს, რადგან მან თანმიმდევრულად არ გამოიყენა შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადი საშუალებების შესაფასებლად. უზუსტობის ეფექტი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე და 2021 და 2020 წლების დაკავშირებულ ცვეთის ხარჯზე განსაზღვრული არ არის.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA)

„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2021 წლის 24 სექტემბერს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანიის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2021 ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. როგორც ჩვენი ანგარიშის თავში „პირობითი მოსაზრების საფუძველია“ აღწერილი, კომპანიამ გვერდი აუარა ფასს სტანდარტებს მისი ძირითადი საშუალებების შეფასებისას. ჩვენ დავასკვენით, რომ სხვა ინფორმაცია არსებითად არაზუსტია იგივე მიზეზით კომპანიის ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება,

Building a better working world

იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ

Building a better working world

აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მშობელი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- როგორც ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე ჩვენი ანგარიშის თავში „პირობითი მოსაზრების საფუძველია“ აღწერილი, კომპანიამ გვერდი აუარა ფასს სტანდარტებს მისი ძირითადი საშუალებების შეფასებისას. ჩვენ დავასკვენით, რომ მმართველობითი ანგარიშგება არსებითად არაზუსტია იგივე მიზეზით კომპანიის ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან მიმართებით; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

დმიტრო იურგელევიჩი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 21 ნოემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	30,554	27,315
არამატერიალური აქტივები		3	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		**30,557**	**27,323**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	7,900	7,820
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	1,950	4,633
გადახდილი ავანსები	8	720	417
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	199	82
სულ მიმდინარე აქტივები		**10,769**	**12,952**
სულ აქტივები		**41,326**	**40,275**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,206	1,206
დამატებით შეტანილი კაპიტალი		9,907	9,907
აკუმულირებული ზარალი		(38,264)	(37,446)
სულ კაპიტალი	10	**(27,151)**	**(26,333)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	11	46,097	20,566
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება		–	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**46,097**	**20,566**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	13	7,235	3,906
მინდა საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		32	
სახელშეკრულებო ვალდებულებები	15	79	–
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		382	102
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები, მოკლევადიანი	13	14,652	42,034
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**22,380**	**46,042**
სულ ვალდებულებები		**68,477**	**66,608**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**41,326**	**40,275**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 21 ნოემბერს.

თეიმურაზ ჯანყარაშვილი აღმასრულებელი დირექტორის მინდობილი პირი

5-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	30,554	27,315
არამატერიალური აქტივები		3	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		**30,557**	**27,323**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	7,900	7,820
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	1,950	4,633
გადახდილი ავანსები	8	720	417
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	199	82
სულ მიმდინარე აქტივები		**10,769**	**12,952**
სულ აქტივები		**41,326**	**40,275**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,206	1,206
დამატებით შეტანილი კაპიტალი		9,907	9,907
აკუმულირებული ზარალი		(38,264)	(37,446)
სულ კაპიტალი	10	**(27,151)**	**(26,333)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	11	46,097	20,566
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება		–	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**46,097**	**20,566**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	13	7,235	3,906
მინდა საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		32	
სახელშეკრულებო ვალდებულებები	15	79	–
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		382	102
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები, მოკლევადიანი	13	14,652	42,034
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**22,380**	**46,042**
სულ ვალდებულებები		**68,477**	**66,608**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**41,326**	**40,275**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 21 ნოემბერს.

თეიმურაზ ჯანყარაშვილი აღმასრულებელი დირექტორის მინდობილი პირი

5-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
ამონაგები და შემოსულობები	15	14,173	13,599
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(10,708)	(10,667)
საერთო მოგება		**3,465**	**2,932**
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,156)	(1,125)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	17	(179)	(141)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	(277)	(141)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	7	(14)	(111)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**839**	**1,414**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	12	(4,710)	(6,312)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა (ზარალი)		3,809	(5,087)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსულობა		121	–
სეტყვით გამოწვეული ზარალი		(877)	–
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(818)**	**(9,985)**
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის ზარალი		**(818)**	**(9,985)**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(818)**	**(9,985)**

* გარკვეული თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ასახავს რეკლასიფიკაციების ცვლილებას მე-2 შენიშვნის შესაბამისად.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	*დამატებით შეტანილი კაპიტალი*	*აკუმულირებული ზარალი*	*სულ*
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,206**	**9,907**	**(27,461)**	**(16,348)**
წლის ზარალი	–	–	(9,985)	**(9,985)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,206**	**9,907**	**(37,446)**	**(26,333)**
წლის ზარალი	–	–	(818)	**(818)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,206**	**9,907**	**(38,264)**	**(27,151)**

5-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(818)	(9,985)
ცვლილებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5	1,546	1,409
არამატერიალური აქტივების ცვეთა		14	–
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	7	14	111
ბიოლოგიური პროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა		(836)	(1,868)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა		50	–
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		4,710	6,312
სეტყვით გამოწვეული ზარალი	20	877	–
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობისთვის მიკუთვნებადი წმინდა საკურსო ზარალი		(3,750)	5,087
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**1,807**	**1,066**
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(171)	3,005
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		2,669	(2,579)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(303)	(207)
ცვლილებები გადასახდელ გადასახადში, მოგების გადასახადის გარდა, წმინდა		32	-
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებაში		3,329	1,133
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		382	(7)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		(23)	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		**7,722**	**2,411**
გადახდილი პროცენტი		(1,562)	(1,572)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**6,160**	**839**
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5,103)	(1,558)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9)	–
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		303	–
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(4,809)**	**(1,558)**
ფინანსური საქმიანობა			
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან	13	1,920	174
დაფარული სესხები	13	(3,169)	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,249)**	**174**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**102**	**(545)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		15	355
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	9	82	272
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9	**199**	**82**

* გარკვეული თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ასახავს რეკლასიფიკაციების ცვლილებას მე-2 შენიშვნის შესაბამისად.

5-34 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ქინძმარაულის მარანი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 241565891) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2021 წლის 18 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „ქინძმარაულის მარანი“ ქართული ღვინის და ალკოჰოლური სასმელების მაღალი ხარისხის მწარმოებელია, რომელიც 350 ჰექტარ მიწას ფლობს კახეთის რეგიონში.

კომპანიის იურიდიული მისამართია ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. #3-5, თბილისი, საქართველო, ხოლო მისი საქმიანობის ძირითადი ადგილმდებარეობაა წერეთლის გამზ. 118, თბილისი, საქართველო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ყურძნის მოშენება და მოყვანა, ღვინისა და საკუთარი წარმოების სხვა ალკოჰოლური სასმელები წარმოება.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ჰარვესთ ჯორჯია“ კომპანიის აქციების 100%-ს ფლობდა.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია სს „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგი“ იყო („საბოლოო მშობელი კომპანია“), მართვის ხელშეკრულების საფუძველზე.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“ (შემდგომში „საქართველოს კაპიტალი“ ან „საბოლოო მშობელი კომპანია“) მართავს, გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული კომპანია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

2.1 მომზადების საფუძველი

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ბიოპროდუქციის, და იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო და კოვიდ-19-ის გავლენა

ხელმძღვანელობის მიზანშეწონილად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. ხელმძღვანელობამ ჩაატარა კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების ლიკვიდურობის ანალიზი იმ დაშვებით, რომ კოვიდ-რუსეთ-უკრაინის ომის და კოვიდ-19-ის ეფექტები ნეგატიურად მოქმედებდა კომპანიაზე 2022 წლის ბოლოსთვის. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- მოსალოდნელია, რომ უკრაინაში მიმდინარე ომს ნეგატიური გავლენა ექნება ღვინის სეგმენტში მიმდინარე გაყიდვებსა და მის ფინანსურ მაჩვენებლებზე. სხვადასხვა სტრესული სცენარის გათვალისწინებით, კომპანიას დასჭირდება სესხის ნაწილის გახანგრძლივების ინიცირება. უფრო კონკრეტულად, ყველაზე ცუდი სცენარით, ბიზნესი განაგრძობს ყურძნის სუბსიდირებული სესხების და დარიცხული პროცენტის ხარჯის დაფარვას გრაფიკის შესაბამისად, თუმცა დასჭირდება გადახდის გახანგრძლივება მესამე პირებისთვის არა სუბსიდირებული სესხების პრინციპალებისთვის მთლიანი ოდენობით 17,922 ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ხელმძღვანელობამ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების ლიკვიდურობის ანალიზი ჩაატარა. ომის დაწყებიდან კომპანიამ შეცვალა რუს მომხმარებლებთან მიწოდების პირობები, რომლის მიხედვითაც ის ითხოვს ავანსს თითოეულ შეკვეთაზე, როგორც ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ინსტრუმენტი.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო და კოვიდ-19-ის გავლენა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს ახალი შესაძლებლობების მოძიებაზე და მოლაპარაკებებს აწარმოებს გერმანელ დისტრიბუტორებთან.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ა) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებებს, ე.ი. მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდების მომენტში.

შემოსავალი აღიარდება საქონლის გაყიდვასთან კავშირში, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურების კორექტირებებს (ფულადი სახსრები, რომელსაც კომპანია უხდის მომხმარებელს, ან რომელთა მომხმარებლისთვის გადახდა მოსალოდნელია) და საქონლის მოცულობის გათვალისწინებით განსაზღვრულ ფასდათმობებს.

კონკრეტული ხელშეკრულებები მომხმარებლებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს იყენებს დასაბრუნებელი საქონლის შესაფასებლად, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ახდენს კომპანიის მიერ მისაღები ცვლადი საზღაურის პროგნოზირებას.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) კომპანიის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები შემოსავლად აღიარდება, როდესაც კომპანია შეასრულებს მათ ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. მომხმარებელს გადასცემს კონტროლს შესაბამის საქონელზე ან მომსახურებებზე).

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია გაუფასურების აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცილებელი, კომპანია მათ ცვეთას არიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ვაზი	45-დან 50 წლამდე
შენობა-ნაგებობები	7-დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-დან 20 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 7 წლამდე
სხვა	3-დან 8 წლამდე

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწა და ვენახი (გაშენებული ვაზი) არ არიცხავს ცვეთას.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ცვეთის ხარჯი

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

გ) ბიოლოგიური აქტივები და პროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება სტანდარტის ბასს (IAS) 41 („*სოფლის მეურნეობა*“) შესაბამისად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, შემოდგომაზე ხდება. მოსავლის აღებამდე ხდება ყურძნის მოყვანის ხარჯების მომდევნო პერიოდზე გადატანა, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში. მოსავლის აღების შემდეგ ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და, შესაბამისად, აღირიცხება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს (IAS) 41-ის შესაბამისად, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი *შემოსავლებში* აისახება.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, კომპანიის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასების შედეგი წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ გადაიტანება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში. ბასს (IAS) 41-ის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, ხოლო სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარდება ამონაგებსა და შემოსულობაში.

ნაყოფის მომცემი მცენარეები თვითღირებულებით აღირიცხება ბასს (IAS) 16-ის („*ძირითადი საშუალებები*“) ფარგლებში.

დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ სესხით სარგებლობის დანახარჯების გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

ე) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და შესაბამისი ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს სასრული გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი, სასარგებლო მომსახურების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში, მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც საღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წლიდან 10 წლამდეა.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. იმ თარიღში, როდესაც ხდება კონტროლის მიღება) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ვ) უცხოური ვალუტები

კომპანიის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კომპანიის სამეურნეო ერთეულების მიერ თავიდან აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივების ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ზ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადი გარდა, სრული შემოსავლის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული დავალიანებისა და კრედიტორული ვალდებულების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის სავაჭრო დებიტორული თუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო დავალიანებასთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

თ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ნაწილში *(გ) „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია ის საკუთარ ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო დებიტორული დავალიანებებს და საკრედიტო ინსტიტუტებში არსებულ თანხებს (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები).

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდას შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (მე-3 შენიშვნა);
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა).

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში ფლობილი თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებას და პროცენტიან სესხებს და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით.

ეს კატეგორია ზოგადად ეხება პროცენტიან სესხებს და ნასესხებ სახსრებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის მიმდინარე სამართლებრივი უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

კ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და აქტივის გამოყენების უფლებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის კომპანიაზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით (სანამ მათი გაწევა არ ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწარმოებლად) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, საიჯარო გადახდების ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას ავტოსატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას) კომპანიის შიგნით. კომპანია ასევე იყენებს დაბალფასიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მის ისეთ დაბალფასიან იჯარებზე, როგორიც არის კომპიუტერები და ავეჯი (აქტივები, რომელთა ახალ მდგომარეობაში ღირებულება 15 ან ნაკლები ლარია). საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ნაღდ ფულს ბანკში და სალაროში, ასევე მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ დეპოზიტებს სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად, ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკის გათვალისწინებით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება კომპანიის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

ო) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, როგორიც არის სასოფლო სამეურნეო პროდუქტი სამართლიანი ღირებულებით, გაყიდული პროდუქტების თვითღირებულების გამოკლებით საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით და მოსავლის აღების დროს.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო მონაცემები და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემები.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

2.4 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, განმარტებითი შენიშვნები და გადაანგარიშებები

კომპანია ახდენს შედარებადი ინფორმაციის რეკლასიფიცირების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მიმდინარე პერიოდის პრეზენტაციასთან შესაბამისობისთვის. რეკლასიფიკაციების ეფექტი იყო შემდეგი:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	*2020*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(111)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	111
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(1,119)
ადმინისტრაციული ხარჯები	1,119

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	*2020*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(111)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	111
ბიოლოგიური პროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	(1,868)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1,868

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.5 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ფასს (IFRS) 4, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 9, ფასს (IFRS) 16 და ბასს (IAS) 39-ის ცვლილება *„საპროცენტო განაკვეთის შედარების რეფორმა“*;
- ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება *„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“* (კომპანიის მიერ ვადაზე ადრე მიღებული).

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში

ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების გაუმჯობესების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 41 სტანდარტის („*სოფლის მეურნეობა*“) ცვლილება. ეს ცვლილება აუქმებს ბასს (IAS) 41-ის 22-ე პუნქტს, რომელიც გადასახადებიდან ფულადი ნაკადების გამორიცხვის უფლებას იძლევა აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ბასს (IAS) 41-ის ფარგლებში.

საწარმო იყენებს ამ ცვლილებას პერსპექტიულად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. სტანდარტის ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას მასზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიაზე:

- ფასს (IFRS) 17 *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“*;
- ბასს (IAS) 1-ის ცვლილება *„ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“*.

2020 წლის იანვარში ბასსს-მა გამოცა ბასს (IAS) 1-ის 69-დან 76-მდე პუნქტების ცვლილება - მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსასაზღვრად. ცვლილებები განმარტავს:

- რას გულისხმობს ანგარიშსწორების დაფარვის უფლება;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის;
- ამ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად იქნება წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები არ იმოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოიყენება უკუქცევითი ძალით. დღეისათვის ბანკი აფასებს ცვლილებების გავლენას მიმდინარე საქმიანობაზე და დასჭირდება თუ არა არსებულ სასესხო ხელშეკრულებებს ხელახალი შეთანხმება.

ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 8-ის ცვლილება, რომელშიც ის სააღრიცხვო შეფასებების განმარტებას იძლევა. ცვლილებებით ხდება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებას და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას შორის სხვაობის განმარტება და ხარვეზების გამოსწორება. ამასთან, განმარტებულია როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ტექნიკებს და შემოსულ რესურსებს სააღრიცხვო შეფასებების შესამუშავებლად.

(ათას ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

2.5 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული და მისი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ამ პერიოდში ან მისი დაწყების შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში განხორციელებულ ცვლილებებზე. ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია ამ ფაქტის გამჟღავნების პირობით.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიაზე.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ „სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 1-ის და ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის მე-2 განცხადების - *არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობები* - ცვლილება, რომელშიც მან წარმოადგინა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები საწარმოების დასახმარებლად სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების არსებითობასთან დაკავშირებულ მსჯელობაში. ცვლილების მიზანია დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გაკეთებაში, რომლებიც მეტად სასარგებლოა საწარმოების „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნის ჩასანაცვლებლად მათი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნით და სახელმძღვანელო მითითების დასამატებლად იმაზე, თუ როგორ იყენებენ საწარმოები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ბასს (IAS) 1-ის ეს ცვლილება ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. რადგან პრაქტიკული განცხადების 2 ცვლილება უზრუნველყოფს არასავალდებულო სახელმძღვანელო მინიშნებებს ტერმინის „არსებითი“ განმარტების სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაში გამოყენებაზე, ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი საჭირო არ არის.

კომპანია აფასებს ამ ცვლილების გავლენას იმ გავლენის განსაზღვრებაზე, რომელიც მათ აქვთ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე:

- ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება *„კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“*;
- ბასს (IAS) 16 *„ძირითადი საშუალებები: „შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“*;
- ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში *„დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“*;
- ფასს (IFRS) 1-ის ცვლილება *„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“* - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს;
- ფასს (IFRS) 9-ის ცვლილება - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობების ან გარიგებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობების ან გარიგებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება

კომპანიის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, კომპანიის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კომპანიამ ქართული ღვინის სააგენტოსგან მიიღო საბაზრო ინფორმაცია და ყურძნის ფასი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწეული და მარაგებში გადატანილი ყურძნის სამართლიანი ღირებულება 2,401 ლარი იყო (2020 წ.: 3,990 ლარი) (მე-15 შენიშვნა).

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ხელმძღვანელობამ შეაფასა ღვინის სექტორის ბიზნეს-ფაქტორები და ფინანსური მაჩვენებლები 2021 და 2020 წლების განმავლობაში და დაასკვნა, რომ მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში გაუფასურების ან აღდგენის მაჩვენებლები არ არსებობდა. შესაბამისად, დამატებითი გაუფასურება და ადრე აღიარებულის გაუფასურების შემობრუნება 2021 და 2020 წლების განმავლობაში აღიარდა.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია მის დისტრიბუციის ფუნქციას გადასცემს შპს „ქართული დისტრიბუცია და ლოგისტიკა“, რომელიც მისი დაკავშირებული მხარეა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანების 63% დაკავშირებული მხარისგან არის (2020 წ.: 62%). შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მეტწილად ინდივიდუალურად, და არა კოლექტიურად აფასებს.

კომპანია დებიტორული დავალიანების ყოველ ნაშთს მომხმარებლებთან განვლილ გამოცდილებაზე და საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს, რომელიც კორექტირდება დებიტორების და ეკონომიკური გარემოს პროგრესული ფაქტორების გასათვალისწინებლად.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს მთლიან წმინდა დავალიანებას კონტრაჰენტის მიმართ. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარეების ვალდებულებები აღემატება შესაბამისი მხარის კრედიტორულ ვალდებულებას, რადგან ის მოელის გაქვითვას საქმიანობის ნორმალურ პირობებში ვადაგადაცილებულ თანხებთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმის შესაფასებლად, გადაფარვის მოლოდინი შეესაბამება თუ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შემავალ ინფორმაციას დაკავშირებული მხარის დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი მსჯელობის გამოყენება იყო საჭირო. შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ აღიარდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ დებიტორული დავალიანებისთვის 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აღიარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 14 ლარის ოდენობით (2020 წ.: 111 ლარი) მის სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებით (მე- 7 შენიშვნა).

4. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

შესრულების ღონისძიების სახით კომპანიამ შეცვლილი EBITDA უჩვენა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესაბამისია. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე გამოითვლება მოგების კორექტირების გზით, რომელსაც აკლდება გადასახადი, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული წმინდა დანახარჯები, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი, გაუფასურების ხარჯი და ხელმძღვანელობის რესტრუქტურიზაციის ხარჯები. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე არ წარმოადგენს ფასს-ით განსაზღვრულ ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელს. კომპანიის მიერ განსაზღვრული შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე შესაძლოა არ იყოს შედარებადი სხვა საწარმოების მსგავსი ტიპის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლებსა და განმარტებით შენიშვნებთან.

კორექტირებული EBITDA-ს შეჯერება წლის ზარალთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	*2021*	*2020*
წლის მოგება (ზარალი)		**(818)**	**(9,985)**
მოგების გადასახადის სარგებელი		–	–
მოგება (ზარალი) გადასახადით დაბეგვრამდე		**(818)**	**(9,985)**
კორექტირებები:			
ცვეთა	5	1,546	1,409
ამორტიზაცია		14	–
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	12	4,710	6,312
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა) ზარალი		(3,809)	5,087
სეტყვით გამოწვეული ზარალი		877	–
EBITDA		**2,520**	**2,823**

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	*შენობა-ნაგებობები*	*მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა*	*სატრანსპორტო საშუალებები*	*სხვა*	*ვენახის გაშენება*	*დაუმთავრებელი მშენებლობა*	*სულ*
თვითღირებულება								
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**5,387**	**3,344**	**8,032**	**682**	**104**	**11,815**	**–**	**29,364**
შესყიდვები	–	9	231	–	1	523	799	**1,563**
გასვლები	–	–	(5)	–	(1)	(289)	(10)	**(305)**
გადაცემა	–	570	–	–	–	–	(570)	**–**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,387**	**3,923**	**8,258**	**682**	**104**	**12,049**	**219**	**30,622**
შესყიდვები	–	287	2,319	17	30	604	1,846	**5,103**
გასვლები	–	–	(320)	–	–	–	–	**(320)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,387**	**4,210**	**10,257**	**699**	**134**	**12,653**	**2,065**	**35,405**
ცვეთა								
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**335**	**757**	**147**	**33**	**618**	**–**	**1,890**
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	174	735	101	22	402	**–**	**1,434**
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	–	(1)	–	–	(16)	–	**(17)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**509**	**1,491**	**248**	**55**	**1,004**	**–**	**3,307**
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	114	966	39	38	389	–	**1,546**
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	–	(2)	–	–	–	–	**(2)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**623**	**2,455**	**287**	**93**	**1,393**	**–**	**4,851**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2020 წლის 31 დეკემბერს	**5,387**	**3,414**	**6,767**	**434**	**49**	**11,045**	**219**	**27,315**
2021 წლის 31 დეკემბერს	**5,387**	**3,587**	**7,802**	**412**	**41**	**11,260**	**2,065**	**30,554**

კომპანიას მისი ძირითადი საშუალებები დაგირავებული აქვს ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან აღებული სესხის უზრუნველყოფის სახით (მე-11 შენიშვნა). დაგირავებული ქონების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 30,554 ლარს შეადგენდა (2020 წლის 31 დეკემბერი: 27,315 ლარი).

(ათას ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021	*2020*
ნედლეული	7,461	7,001
დაუმთავრებელი წარმოება	247	450
მზა პროდუქცია (საკუთარი წარმოება)	114	331
წარმოების დამხმარე მასალა	78	38
	7,900	**7,820**

კომპანიას მისი სასაქონლო-მატერიალური მარაგები დაგირავებული აქვს ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით (მე-11 შენიშვნა). დაგირავებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,900 ლარს შეადგენდა (2020 წლის 31 დეკემბერი: 7,820 ლარი).

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერა მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე და აღირიცხა სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში 50 ლარის (2020 წ.: 84 ლარი) ოდენობით (მე-19 შენიშვნა).

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა

	2021	*2020*
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,121	4,790
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(171)	(157)
	1,950	**4,633**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის მოძრაობა შემდეგია:

	2021	*2020*
1 იანვარს	**157**	**46**
წლის დანარიცხი	14	111
31 დეკემბერს	**171**	**157**

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და ისინი როგორც წესი იფარება 30-დან 90 დღემდე ვადაში.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2021 წლის 31 დეკემბერი	*არა ვადაგადაცილებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*>180 დღე*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	100.00%	**8.06%**
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	1,784	53	113	–	171	**2,121**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	–	(171)	**(171)**
წმინდა დებიტორული დავალიანება	1,784	53	113	–	–	**1,950**

(ათას ლარში)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერი	*არა ვადაგადაცილებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*>180 დღე*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	100.00%	**3.28%**
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	4,211	170	157	95	157	**4,790**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	–	(157)	**(157)**
წმინდა დებიტორული დავალიანება	4,211	170	157	95	–	**4,633**

8. გადახდილი ავანსები

31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ავანსები მოიცავდა:

	2021	*2020*
ნედლეულსა და საქონელში გადახდილი ავანსები	658	417
მარკეტინგულ მომსახურებაში გადახდილი ავანსები	19	–
სხვა	43	–
	720	**417**

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021	*2020*
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	199	82
	199	**82**

მიმდინარე ანგარიშები გახსნილია ქართულ ბანკებში სარეიტინგო სააგენტოს „Moody's“ მიერ მინიჭებული გარე საკრედიტო რეიტინგით „Ba3/Ba2“ (LC) (2020 წ.: „Ba3/Ba2“ (LC). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეფასდა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,000 ლარს შეადგენდა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი მთლიანად გადახდილ იქნა კომპანიის აქციონერებისგან ლარში და აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები ლარში.

2021 და 2020 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

(ათას ლარში)

11. პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი	*2021*	*2020*
მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრები	30,970	1,247
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	15,127	19,319
სულ	**46,097**	**20,566**

11.პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

მიმდინარე	*2021*	*2020*
მშობელი ბანკისგან ნასესხები სახსრები	9,922	39,106
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	4,730	2,928
სულ	**14,652**	**42,034**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან და მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში, ევროში და აშშ დოლარში გამოხატულ სესხებს, რომლებზედაც ვრცელდებოდა 2-დან 16,5-მდე საპროცენტო განაკვეთი, დარჩენილი 1-დან 6 წლამდე დაფარვის ვადით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან და მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში, ევროში და აშშ დოლარში გამოხატულ სესხებს, რომლებზედაც ვრცელდებოდა 5-დან 13,5-მდე საპროცენტო განაკვეთი, დარჩენილი 1-დან 7 წლამდე დაფარვის ვადით.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 103 ლარი (2020 წ.: 0 ლარი) ღვინის სექტორისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის ნაწილის სახით სესხებზე საპროცენტო ხარჯის ნაწილის ანაზღაურების სახით. კომპანია სუბსიდირებას იღებს სახელმწიფოსგან ყოველი თვის ბოლოს. კომპანია საპროცენტო ხარჯს წმინდა საფუძველზე უჩვენებს.

12. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	სესხები და ნასესხები სახსრები	*სულ*
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**52,543**	**52,543**
მოგება და ზარალის ანგარიშგებაში ასახული ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	6,312	**6,312**
გადახდილი პროცენტი	(1,572)	**(1,572)**
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან	174	**174**
საკურსო ზარალი	5,143	**5,143**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**62,600**	**62,600**
მოგება და ზარალის ანგარიშგებაში ასახული ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	4,710	**4,710**
გადახდილი პროცენტი	(1,562)	**(1,562)**
ნასესხები სახსრების დაფარვა	(3,169)	**(3,169)**
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან	1,920	**1,920**
საკურსო სხვაობით მიღებული (შემოსულობა) ზარალი	(3,750)	**(3,750)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**60,749**	**60,749**

(ათას ლარში)

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება ასე გამოიყურებოდა:

	2021	*2020*
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარის მიმართ	5,756	3,208
სხვა სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	1,479	698
	7,235	**3,906**

სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 30-დან 90 დღემდე ვადაში იფარება.

14. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

ქართული საგადასახადო გარემო

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ გარიგებებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობების ინტერპრეტაციები შეიძლება ეჭქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კანონმდებლობისა და რეგულაციების მისეული ინტერპრეტაცია ადეკვატურია და რომ მას ადეკვატურად აქვს დეკლარირებული და აღრიცხული ყველა საგადასახადო რისკი.

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები

31 დეკემბრის მდგომარეობით ქართული კომერციული ბანკებისგან კომპანიის ნასესხები სესხის უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავდა შემდეგს:

	2021	*2020*
უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ძირითადი საშუალებები (მე-5 შენიშვნა)	30,554	27,315
უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები (მე-6 შენიშვნა)	7,900	7,820
	38,454	**35,135**

15. ამონაგები და შემოსულობები

	2021	*2020*
შემოსავალი (საკუთარი წარმოების) მზა პროდუქციის გაყიდვიდან (ა)	11,463	11,731
ბიოლოგიური პროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა (ბ)	836	1,868
დაკავშირებულ მხარეებზე გაწეული მომსახურება (გ)	1,874	–
	14,173	**13,599**

(ა) შემოსავალი მზა პროდუქციიდან მოიცავს შემოსავალს ვაზის ნაწარმებიდან, როგორიც არის ღვინო, შუშხუნა ღვინო, ჭაჭა და ბრენდი.

(ბ) შემოსულობა საკუთარ ვენახებში მოწეული ყურძნიდან შემდეგია:

(ათას ლარში)

15. ამონაგები და შემოსულობები (გაგრძელება)

	2021	*2020*
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი ყურძნის აღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	2,401	3,990
ნათესების გაზრდის ხარჯები	(1,565)	(2,122)
ბიოლოგიური პროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	**836**	**1,868**

ყურძნის აღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. 2021 და 2020 წლებში ერთი ტონა ყურძნის მოსალოდნელი საშუალო შეწონილი საბაზრო ღირებულება 1,59 და 1,34 ლარს უტოლდება.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასების შედეგი წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ გადაიტანება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში.

(ა) დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ვენახის გაშენების მომსახურებას სს „თელიანი ველისა“ და სს „ჰარვესთ ალავერდისთვის“.

ამონაგები და შემოსულობები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2021	*2020*
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა)	1,950	4,633
სახელშეკრულებო ვალდებულებები (ა)	79	–

სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და ისინი როგორც წესი იფარება 30- დან 90 დღემდე ვადაში (მე-7 შენიშვნა).

სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება მომხმარებლებისგან მიღებულ საზღაურად და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, ამ მომხმარებლებს საქონელი გადასცეს. სახელშეკრულებო ვალდებულებებისთვის კომპანია მოელის მოგება-ზარალის ყველა თანხის გასწორებას ერთი წლის განმავლობაში მისი შესასრულებელი მოვალეობის დაკმაყოფილებისთანავე. კომპანიამ აღიარა 285 ლარის შემოსავალი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ასახულია 2020 წლის სახელშეკრულებო ვალდებულებებში (2020 წ.: 196 ლარი).

16. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება (ა)	9,004	10,667
დაკავშირებულ მხარესთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება (ბ)	1,704	-
	10,708	**10,667**

საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება (ა):

(ათას ლარში)

16. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება (გაგრძელება)

	2021	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
ნედლეული	6,200	8,364
ცვეთა	1,347	1,119
თანამშრომელთა სარგებელი	916	834
კომუნალური ხარჯები	377	248
ქონების გადასახადი	122	102
სხვა წარმოების დანახარჯები	42	–
	9,004	**10,667**

დაკავშირებულ მხარესთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება (ბ):

	2021	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
თანამშრომელთა სარგებელი	1,093	–
ნედლეული	611	–
	1,704	**–**

17. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2021	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
გაყიდვების მასტიმულირებელი და სარეკლამო ხარჯი	58	23
ტრანსპორტირების ხარჯები	47	37
თანამშრომელთა სარგებელი	17	17
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	–	31
სხვა	57	33
	179	**141**

18. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	*2020 (რეკლასიფიცირებული)**
თანამშრომელთა სარგებელი	1,058	342
პროფესიული მომსახურება	461	275
ცვეთა და ამორტიზაცია	200	290
საწვავის ხარჯები	65	–
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	15	11
ტექნიკური მომსახურება	–	14
სამივლინებო ხარჯები	–	12
სხვა	357	181
	2,156	**1,125**

(ათას ლარში)

19. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	*2020*
სასაქონლო–მატერიალური მარაგების ჩამოწერა	50	84
სხვა	227	57
	277	**141**

20. სეტყვით გამოწვეული ზარალი

2021 წელს კომპანია ძლიერი სეტყვით დაზარალდა, რამაც გამოიწვია ყურძნის გადაფასებული სამართლიანი ღირებულების ზარალი 877 ლარის ოდენობით.

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტიან სესხებსა და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. კომპანიას თავისი ოპერაციებიდან პირდაპირ იღებს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკებს.

კომპანიისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს, რომლებსაც მცოცავი საპროცენტო განაკვეთი აქვთ. ნაღდ ფულს ბანკში ფიქსირებული პროცენტი ერიცხება.

კომპანიის ხელძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. კომპანია საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. იგი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას, რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიის საკრედიტო რისკი წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული ანგარიშების, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ანაბრების აგრეგირებული ნაშთით 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 2,149 ლარს (2020 წ.: 4,715 ლარი) უტოლდებოდა.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საკრედიტო ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება განცალკევებული საკრედიტო ლიმიტები. კომპანია აკვირდება აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებს და ახორციელებს გაუფასურების ანალიზს ინდივიდუალურად მსხვილი კლიენტებისთვის. გაყიდვის ოპერაციების უმეტესობა ხორციელდება დაკავშირებულ მხარეებთან. გადახდა ხდება დაკავშირებული მხარის მიერ ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების შესაბამისად და, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა ვადაგადაცილებულიც იყოს, თუ სრულად ამოღებადი არ იქნება.

მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს ცნობილ ბანკებში განთავსებით, რომლებსაც „ფიტჩის“ სარეიტინგო სააგენტოს მიერ BB– რეიტინგი აქვთ მინიჭებული. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანების სტატუსიც.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მიმართ კომპანიის დაქვემდებარება მეტწილად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში კომპანიის სესხებს და ნასესხებ სახსრებს.

კომპანია ხელშეკრულებებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში აფორმებს. კომპანია არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ დააზღვიოს მომავალი გარიგებები და ფულადი ნაკადები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა კომპანიას მნიშვნელოვანი რისკი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებაზე:

2021	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*სულ*
აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	513	188	**701**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	156	8	**164**
ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	(47,753)	(4,367)	**(52,150)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	(177)	(114)	**(291)**
ნეტო პოზიცია	**(47,261)**	**(4,285)**	**(51,546)**

სავალუტო რისკი

2020	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*სულ*
აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,708	–	**1,708**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	252	1	**253**
ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	(50,883)	(5,506)	**(56,389)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	(164)	(92)	**(256)**
ნეტო პოზიცია	**(49,087)**	**(5,597)**	**(54,684)**

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს მოგება–ზარალის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება–ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

2021	*სავალუტო კურსის ცვლილება %*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	14.00%	(6,617)	6,617
ევრო	15.00%	(643)	643

2020	*სავალუტო კურსის ცვლილება %*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	15.00%	(7,363)	7,363
ევრო	16.00%	(896)	896

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

2021	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3–დან 12 თვემდე*	*1–დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	1,158	306	4,658	60,818	–	**66,940**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	–	7,235	–	–	–	**7,235**
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	–	382	–	–	–	**382**
	1,158	**7,923**	**4,658**	**60,818**	**–**	**74,557**

2020	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3–დან 12 თვემდე*	*1–დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	132	277	4,370	68,772	1	**73,552**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	–	3,865	–	–	–	**3,865**
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5	–	–	–	–	**5**
	137	**4,142**	**4,370**	**68,772**	**1**	**77,422**

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, საემისიო შემოსავალს და კაპიტალის ყველა სხვა რეზერვს, რომლებიც მიკუთვნებადია მშობელი კომპანიის წილობრივი მონაწილეებისთვის და შეფასებულია 11,113 ლარით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წ.: 11,113 ლარი).

22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(ათას ლარში)

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24–ის „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

მშობელი	*შესყიდვები*	*გაყიდვები*	*სადაზღვევო ხარჯი*	*სავაჭრო ვალდებულებები*	*სავაჭრო მოთხოვნები*
2021	386	–	–	724	–
2020	242	–	–	285	–

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	*შესყიდვები*	*გაყიდვები*	*სადაზღვევო ხარჯი*	*სავაჭრო ვალდებულებები*	*სავაჭრო მოთხოვნები*
2021	2,225	11,430	11	5,756	1,227
2020	1,839	6,731	12	3,208	2,883

საინვესტიციო და საფინანსო გარიგებები

2021 წელს კომპანიამ ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 332 ლარი მიჰყიდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს 320 ლარად.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

მშობელი	*ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები*	*სესხები და წასესხები სახსრები*
2021		
სს „ჰარვესთ ჯორჯია“	3,049	39,461
2020		
სს „ჰარვესთ ჯორჯია“ (მე–11 შენიშვნა)	3,140	38,259

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2021 და 2020 წლებში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით აღიარებული ხარჯის თანხა, რომელიც წარმოდგენილია დაქირავებულ პირთა შემდეგი გასამრჯელოებით, არის შემდეგი:

	2021	*2020*
ხელმძღვანელი პირების პრემიები	180	230
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის სახელფასო ხარჯი	180	180
	360	**410**

(ათას ლარში)

24. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიის საქმიანობაზე გავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა ზოგადად გავლენის სიმძლავრესთან დაკავშირებით.2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჯგუფის გაყიდვებმა დსთ–ს ქვეყნებში შეადგინა 3,134 ლარი. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

1. კომპანიის შესახებ

შპს „ქინძმარაულის მარანი“ (შემდგომში - „კომპანია“, საიდენტიფიკაციო ნომრით 241565891) დაფუძნებულია 2001 წლის 18 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე და ყიდის თავის პროდუქციას როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა, ღვინის წარმოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია - ყვარელი, საქართველო, ფაქტიური მისამართია- წერეთლის გამზირი #118, თბილისი, საქართველო

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელი იყო სააქციო საზოგადოება ჰარვესთ ჯორჯია.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

2021 წლის განმავლობაში კომპანიის საერთო შემოსავალმა შეადგინა 14,173 ათასი ლარი. შემოსავლის ძირითადი ნაწილი მიღებულია ღვინის ექსპორტიდან, ხოლო ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე დაკავშირებულ მხარეებთან ყურძნის რეალიზაციით.

ცხრილი #1 ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი	**2021**	**2020**
საოპერაციო შემოსავალი	14,173	13,599
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(10,708)	(10,667)
საერთო მოგება	**3,465**	**2,933**
საოპერაციო ხარჯები და გაუფასურება	(4,283)	(12,917)
წლიური მოგება	**(818)**	**(9,985)**
საერთო მოგების მარჟა	24.45%	21.57%

კომპანიის დეტალური ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის განვითარების გეგმები:
კომპანიისთვის საშუალოვადიან პერიოდში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გასაღების ბაზრების ისახება ბაზრების დივერსიფიცირება, რათა დამოკიდებულება ცალკეულ ქვეყანასა თუ რეგიონზე მაქსიმალურად იყოს შემცირებული. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, გასული წლის მანძილზე ყველაზე მზარდი ბაზრების ანალიზი ქართული ღვინისათვის, რომელთა შორისაც ლიდეროობს ჩინეთი. ცხადია, ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება, ერთი ორად ამარტივებს ხსენებულ ბაზარზე შეღწევას და თავის დამკვიდრებას. ასევე, ქართული ღვინისთვის მიმზიდველია პოსტ-საბჭოთა სივრცის რეგიონი, სადაც ქართული პროდუქტი მეტ-ნაკლებად პოპულარობით სარგებლობს.

3. ღვინის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი

მიმოხილვა

საქართველოს მეღვინეობის 8,000 წლიანი ისტორია აქვს. ღვინის წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატისა და თავისი განედის (42° N პარალელი) წყალობით, საქართველო არ ჩამოუვარდება მეღვინეობით განთქმულ ზოგიერთ ქვეყანას - აშშ (კალიფორნია/ორეგონი), იტალია (ტოსკანა) და ესპანეთი (ლა-რიოხა).
საქართველოში მევენახეობის ძირითადი 8 კერა არსებობს: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, გურია და სამეგრელო. 500 უნიკალური და ენდემური ვაზის ჯიშიდან 30 მათგანი მთელს საქართველოშია გავრცელებული.

კახეთი ცნობილია საფერავით, რქაწითელითა და მწვანე ყურძნის ჯიშებით; ქართლი- გორული მწვანით; იმერეთი - ციცქასა და კრახუნათი; გურია და აფხაზეთი- ცოლიკოურითა და ჩხავერით; სამეგრელო - ოჯალეშით, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი უსახელოურით, ალექსანდროულით, მუჯურეთულით.

ქართული ღვინის ექსპორტი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2021 წელს საქართველოდან მსოფლიოს 62 ქვეყანაში 107 მილიონ ბოთლამდე (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, 2020 წლის მონაცემზე 17%-ით მეტი, რაც გამოწვეულია კოვიდ-19 პანდემიის რეგულაციების შემსუბუქებით.

ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 239,3 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2020 წლის ანალოგიურ მონაცემზე 14%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი - 24%, აშშ - 13% და დიდი ბრიტანეთი - 63%. ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა- 9%; ბელარუსი- 17%; ლატვია- 9%; გერმანია -18%; კანადა-61%; აზერბაიჯანი-41% და ა.შ.

საექსპორტო ფასწარმოქმნა

ქართული ღვინო შედარებით იაფია დსთ-ის/პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რადგან აქ ტრანსპორტირების ხარჯი უფრო დაბალია და უპირატესობას მშრალ ან ნახევრად ტკბილ სუფრის ღვინებს ანიჭებენ. მომხმარებლებს შორის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის დონე მერყეობს, მაგრამ, ზოგადად, ქართული ღვინო დსთ-ის ბაზრებზე მასობრივი მოხმარების პროდუქტია, ხოლო ევროკავშირში, ჩრდილო ამერიკასა და აზიაში - პრემიუმ კლასის პროდუქტი, სადაც ძირითადად დაცული ადგილწარმოშობის დასახელების საფერავი და მშრალი თეთრი ღვინოები იყიდება. ევროკავშირის ქვეყნებში ქართულ ღვინოს, ახალზელანდიური და არგენტინული ღვინის მსგავსად, მაღალი ფასი აქვს.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

4.1 საქართველოს მაკროეკონომიკური პირობების მიმოხილვა და პოლიტიკური რისკების ანალიზი

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ისევე როგორც 2017-2020 წელს, კომპანიის მთლიანი ამონაგების ძირითადი წილი საქართველოში კონცენტრირებულ ოპერაციებზე მოდის (2016 წელს კომპანიას ამონაგები არ ჰქონია). აქედან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ზრდა და შემდგომი განვითარება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებთან, ცხრილში მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით.

	31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
	2021
მშპ-ის ზრდა (%)	10.4
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	18.7
ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	5,015
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მილიონი აშშ დოლარი)	1,830
ინფლაცია (პერიოდის ბოლო, %)	13.9
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	1,152
სახელმწიფო ვალი, როგორც მშპ-ის %	51.8
სულ უცხოელთა შემოსვლები (ტურისტები, ტრანზიტული მგზავრები და სხვა)	1,881,000

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

https://www.geostat.ge/ka

საქსტატის მიხედვით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 10.4%-ით გაიზარდა და 60,232 მლნ ლარი (19,4 მილიარდი დოლარი) შეადგინა. იგივე მონაცემები 2020 წელს -6.2%, 2019 წელს 5.2%-ით, 2018 წელს 4.8%-ით, 2017 წელს 4.8%ით, ხოლო 2016 წელს 2.9%-ით განისაზღვრა.

საშუალო ინფლაცია გაიზარდა 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 5.2%-დან 9.6%-მდე, წლის ბოლოსათვის კი ადგილი ჰქონდა ვალუტის გაუფასურებას და ფასების მკვეთრ მატებას.

დოლარიზაციის დონე შემცირდა საბანკო სისტემაში, ანაბრების შემთხვევაში შეიცვალა, 61.4%-დან 60%-მდე შემცირდა, ხოლო სესხები 55,7%-დან 50,8%-მდე. საშუალო საპროცენტო განაკვეთები 12,1%-ს შეადგენდა სესხების, ხოლო 6,4%-ს ანაბრების შემთხვევაში.

4.2 ვალუტის ცვალებადობა

ქვეყანაში არასტაბილური სავალუტო ბაზრის არსებობიდან და ამასთანავე ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა და გაუფასურება ევროსა თუ დოლარის მიმართ. დოლარიზაციის დონე მაღალი რჩებოდა საბანკო სისტემაში, ანაბრების შემთხვევაში შემცირდა 61,4%-დან 60%-

მდე, ხოლო სესხებმა 55,7%-დან 50,8%-მდე. საშუალო საპროცენტო განაკვეთები 12,1%-ს შეადგენდა სესხების, ხოლო 6,4%-ს ანაბრების შემთხვევაში.

ამასთან ერთად, კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულება ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომელიც ძირითადად გამოხატულია ევროში.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება არასტაბილური კურსის არსებობაში, მაღალია რისკი, რომ ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის კომპანიის საპროცენტო და სხვა ხარჯებს.

4.3 რეგიონში მიმდინარე პროცესები

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკაზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული ქვეყნებიდან, კომპანია ექსპორტს ახორციელებს რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

2021 წლის მონაცემებით ჩინეთი საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორია, რომელზეც მთლიანი ექსპორტის 14.5% (2020 წ. :14.3%) მოდის. ჩინეთში ექსპორტირებული საქონელი და მომსახურების ღირებულებამ 615.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 29%-ითაა გაზრდილი. ექსპორტის განაწილებაში მეორე ადგილს რუსეთი იკავებს. 2020 წელთან შედარებით, რუსეთში განხორციელებული ექსპორტი 38%-ით გაიზარდა, რაც 610 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი და მომსახურებაა. 2021 წელს ასევე გაიზარდა ექსპორტი რიგით მესამე სავაჭრო პარტნიორ აზერბაიჯანთან, სადაც გასულ წელს ექსპორტირებული საქონელი და მომსახურების ღირებულება 531.7 მლნ აშშ დოლარია. ეს კი, წინა პერიოდის მაჩვენებელს 20.5%-ით აჭარბებს. რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 14.4%-ს შეადგენს, აზერბაიჯანის - 12.5%-ს;

2021 წელს ტურიზმის სექტორში ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა,რისი ძირითადი მიზეზიც კოვიდ-19 შეზღუდვების შემსუბუქება გახდა. 2022 წელს რუსეთი-უკრაინის ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ სანქციები გამოუცხადა რუსეთს. ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად დაეცა რუსული რუბლი და საფინანსო ბაზრებზე რუსული კომპანიების საბაზრო ფასები. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, დაიწყო მძიმე ჰუმანიტარული კრიზისი როგორც რუსეთში ასევე უკრაინაში.
რუსეთი და უკრაინა წარმოადგენენ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს საქართველოსთვის, შესაბამისად მოსალოდნელია რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვალს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს და მიიღებს შესაბამის ზომებს საჭიროების შემთხვევაში.

4.3 საკანონმდებლო ფაქტორები

საქართველოს დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად ჩამოყალიბების პარალელურად, ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას ევროპული სტანდარტების შემოღების, შრომის კოდექსისა და დასაქმებულის უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და საგადასახადო სისტემების ეფექტური მუშაობის მხრივ. საქართველოს შრომის კოდექსში მიღებული ცვლილებები მიზნად ისახავდა, როგორც სამართლიანი ბალანსის დაცვას დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესებს შორის, ასევე ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას. ცვლილებები შეეხება სამუშაო საათების განსაზღვრას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისა და შეწყვეტის დეტალებს, სამართლიანი და არადისკრიმინაციული სამუშაო გარემოს შექმნას და სხვა.

შრომის კოდექსში შესულ ცვლილებებთან შესაბამისობის მიზნით კომპანიამ ცვლილებები შეიტანა, როგორც შრომით, ასევე მომსახურების ხელშეკრულებებში. შეიცვალა შრომითი ხელშეკრულებების გარკვეული პუნქტები, კანონმდებლობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებების შესაბამისად.

ასევე, ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება გარკვეულ სირთულეებს ქმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების მხრივ.

ამასთანავე, 2014 წელს ევროკავშირთან ხოლო 2018 წელს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრებს შორის ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რაც გულისხმობს ევროპაში საბაჟო გადასახადის გარეშე პროდუქციის შეტანას. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემოღება გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვას, განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოების, დასაქმებულთა უფლებებისა და გარემოს დაცვის კუთხით. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებს ამ სფეროში დიდი გავლენა ექნება ბიზნესზე, კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებზე დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.
საგადასახადო კანონები ეტაპობრივად ვითარდება და გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან მისი გაგება და ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავებულად მოხდეს სხვადასხვა კომპანიის მხრიდან, რაც კომპანიას უქმნის რისკს, რომ საგადასახადო ორგანო ეჭვქვეშ დააყენებს მათ მიერ კანონის შესრულებას. ეს კი დამატებითი ჯარიმებისა და გადასახადების დაკისრებასთან არის დაკავშირებული.

5. კომპანიასთან დაკავშირებული რისკები

5.1 ფასების ცვალებადობა

ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და დისტრიბუციის ბაზარი ხასიათდება ხშირი ფასების ცვალებადობით. ამასთანავე, კომპანიის ძირითადი საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. სავალუტო ბაზრის არასტაბილურობისა და კურსის რყევების გამო, საწარმოს მასალებსა და მომსახურების ფასებზე ცვლილება გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე, შესაბამისად, მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობაზე. საბოლოო შედეგი აისახება კომპანიის შემოსავლებსა და შესაბამისად, ფინანსურ მდგომარეობაზე.

5.2 მომხმარებელთა ინტერესების ცვლილება

ბაზარზე მოთხოვნა და მომხმარებელთა ინტერესები მუდმივად იცვლება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული პროდუქტის მიმართ მოთხოვნის შემცირება. ასეთ შემთხვევაში, კომპანია იძულებული ხდება საკუთარი პროდუქცია მოარგოს მომხმარებელთა მოთხოვნებს. კომპანიამ მუდმივად უნდა გაითვალისწინოს ბაზრის ცვლილება, სოციალური ტენდენციები და კონკურენციის მაღალი დონე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია უარყოფითი გავლენები გაყიდვებსა და საოპერაციო შედეგებზე.

6. ფინანსური მონაცემების შიდა კონტროლის მექანიზმები

ფინანსური მონაცემების მიმოცვლა კომპანიაში ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯგვარედინი კონტროლის მექანიზმი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მიწოდებული ფინანსური მონაცემების სიზუსტეს.

ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს შორის ხდება რიგი საფეხურების დადასტურების შემდეგ, რათა კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებული იყოს, რომ ინფორმაციის მიმღებს მიეწოდება უტყუარი ინფორმაცია. ამასთან ის ფაქტიც, რომ მიმღებს აქვს უფლება გაეცნოს შესაბამის ინფორმაციას.
კომპანიას შემუშავებული აქვს შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნებისმიერი სახის მონაცემების გაცვლა სტრუქტურულ ერთეულებს შორის და მათზე კონტროლის განხორციელება.
ასევე, კომპანიას შემუშავებული აქვს ფინანსური თვის და წლის დახურვის პროცედურები შესაბამისი კონტროლის მექანიზმებით, რაც საფუძველია იმისთვის, რომ რაც პროგრამულად აღიარებული ინფორმაცია სრულფასოვანი და უტყუარია.

7. დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და კადრების შენარჩუნება

კომპანია სულ უფრო მეტი წარმატებით ახერხებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე საუკეთესო პროფესიონალების მოძიებასა და მოზიდვას. კომპანია ცდილობს, გააუმჯობესოს ეფექტურობა ორგანიზაციის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპეტენციის განვითარება გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა. კერძოდ, კომპანიის მიზანია, გაუმჯობესდეს ორგანიზაციის მიერ სიახლეების დანერგვის უნარი და დაიხვეწოს არსებული პრაქტიკა.

მეორე მხრივ, კომპანიისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, თითოეულ თანამშრომელს აქვს უფლება, იმუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში, რათა არც მათ და/ან არც მათ ოჯახებს არ შეექმნათ პრობლემები სამუშაო ადგილზე არსებული ისეთი საფრთხეების გამო, რომელთა თავიდან არიდება შესაძლებელი იყო. შესაბამისად, კომპანია ქმნის უსაფრთხო სამუშაო გარემოს თანამშრომლებისათვის არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ეს თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი ყოველ სამუშაო დღეს.

8. გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია გარემოსდაცვითი საქმიანობის წლიდან წლამდე გაუმჯობესების მიზნით შემდეგ ძირითად ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას:

- ✓ ორგანიზაციის მასშტაბით დანერგილი კორპორაციული კულტურა,
- ✓ საქმიანობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტები და საოპერაციო პროცედურები,
- ✓ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს, კომპეტენტური თანამშრომლები.

გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება კლიენტების, მომწოდებლების, მარეგულირებელ ორგანოების, ინვესტორების, თანამშრომლებისა და საზოგადოების თვალში რეპუტაციის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

9. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. როგორც ღვინის და ლუდის წარმოების წამყვანმა ჯგუფმა, ჩვენ მიზნად დავისახეთ უბედური შემთხვევების სრულად აღმოფხვრა და ამის მისაღწევად ჩვენს კომპანიაში დავნერგეთ პრინციპი „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენს სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური და ფატალური შემთხვევები საწარმოო ობიექტების გარეთ ხდება, როცა ადამიანები მოგზაურობენ ან ჩვენი პროდუქციის დისტრიბუციით არიან დაკავებულები. გარემოში, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან დაზღვეული არ ვართ. ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი კომპანიის მასშტაბით და განსაკუთრებული ყურადღება საგზაო უსაფრთხოებაზე გავამახვილოთ.

პასუხისმგებლიანი მოხმარება

ღვინო ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც ყოველდღიურად ათასობით ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას. მათი უმრავლესობა ალკოჰოლს ზომიერად იღებს და იცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს. თუმცა, ზედმეტი ალკოჰოლის მიღებას აშკარად უკავშირდება ჯანმრთელობის და ქცევითი რისკები და ისინი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირზე არ მოქმედებს. ალკოჰოლის საზიანო დოზით მიღება სხვა ადამიანებს, საზოგადოებას, ჩვენს დარგსა და მის რეპუტაციას ვნებს.

იმისათვის, რომ საზოგადოება ალკოჰოლის მიღებას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს, ჩვენ აქტიურად ვავრცელებთ გზავნილს „დალიე პასუხისმგებლობით“.

ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, ალკოჰოლის მიღებას პასუხისმგებლობით მოეკიდონ და მომხმარებლებს განვუმარტავთ ალკოჰოლის მავნე დოზით მიღების რისკებს.

სპონსორობა

სპონსორობის ფარგლებში, კომპანია ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებასა და დამკვიდრებაზე. როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპონსორები, მიზნად ვისახავთ, სპორტის პოპულარიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლას და ჯანსაღ აქტივობებში ბავშვების და მოზარდების ჩართვას. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, განვიხილოთ ახალი ინიციატივები, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი მიზნებისა და ხედვის განხორციელებაში.



აღმასრულებელი დირექტორის მინდობილი პირი
თეიმურაზ ჯანყარაშვილი
21 ნოემბერი 2022 წელი